

# ამ გაპარჯვებას სულ სხვა ფასი აქვს...

თბილისის „იბერია“ ფეხბურთში საქართველოს პირველი და მოუკიდებელი ეროვნული ჩემპიონატის დათავრებაზე ორი ტურნირი მოიპოვა უკლიარისის სახელი **ვულკანით!**



ასე დაიწყო...

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

**საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში**

„სამგურალი“ (წყალტუბო) — „იბერია“ (თბილისი) 0:0

წყალტუბო. 26 მაისის ხახელოზის სტადიონი. 3 ნოემბერი.

„სამგურალი“: მიქაძე, ჯანელიძე, წიქარიშვილი, ბერაძე, იონანიძე (მუშკუდიანი), ხვიტია, ცნობილაძე, კერეხელიძე, დ. ფეხტვენიძე (ჩხლაძე), ხუნდაძე, ხარაბაძე.

„იბერია“: ხაოვი, არზიანი, ცხადაძე, ჭეცია, ჯიშკარიანი (კერძევაძე), რევიშვილი, ჭეციაია, ჩიქოვანი (მაჭავარიანი), კაპარაძე (გოგიჩაიშვილი), ნემსაძე, ჯამარაული.

მსაჯეები: რ. ტალიაშვილი, ა. მამუკიანი (ორივე — თბილისი), ტ. ჯავახიძე (წყალტუბო).



თბილისის „იბერია“ რომ პირველ ეროვნულ ჩემპიონატში გაიმარჯვებდა, ამაში ბოლო ხანს არავის ეპარებოდა ეჭვი, არ ვიცოდით მხოლოდ ის, სად და როდის მოხდებოდა მისი ჩემპიონატი „კურთხევა“ და აი, ყოველივე ეს წყალტუბოში გადაწყდა. „სამგურალი“ მოპოვებული ერთი ქულით „იბერია“ ჩემპიონობა გაინაღდა და მიუღწეველი აღმოჩნდა დანარჩენ მეტოქეთათვის, კერძოდ, „გორდასათვის“, რომელიც ოზურგეთში, „მერცხალთან“ დამარცხდა. შეხვედრა ნელ ტემპში დაიწყო, ორივე გუნდი ერიდებოდა ზედმეტ რისკს. მცველთა უშეცდომო თამაშის წყალობით შეტევები საჯარო მოედანის მისადგომებთან მთავრდებოდა და მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში მხოლოდ ერთი მომენტი იყო დასამასხოვრებელი, როცა ზურაბ იონანიძის ძლიერად დარტყმული ბურთი მცირე მანძილით ასცდა კარს. მეორე ნახევარში უფრო აქტიურობდნენ მეტოქენი და როგორც წყალტუბოელებს (გოჩა ხარაბაძე), ასევე თბილისელებს (ზაზა რევიშვილი) შეეძლოთ ბურთის გატანა, მაგრამ კვლავ მცველებმა იმარჯვეს. აი, 66-ე წუთზე კი მართლაც რეალური საფრთხის წინაშე იდგნენ მასპინძლები, როცა თემურ ქეცბაიას მიერ დარტყმული ბურთი ძელმა „მოიგვრია“.

მალე კახი გოგიჩაიშვილს მიეცა ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა, მაგრამ გოჩა მიქაძის თავგანწირულმა თამაშმა ამჯერადაც იხსნა „სამგურალი“.

თბილისის „იბერიას“ წარმატება პირველად „სამგურალის“ ფეხბურთელებმა მიულოცეს და სტადიონზე მოსულმა მრავალრიცხოვანმა მაყურებელმა გულთბილი ტაშითა და ოვაციებით გააცილა ორივე გუნდი.

თმარ **ზუზუბრიძე**, „ლელოს“ კორ.


იხ. გვ. 3 გვ.

**საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ორგანიზაცია**

№ 216 (10381)  
**6 ნოემბერი, საშაბათი, 1990 წ.**

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ორგანიზაცია  
ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ

გამომდის 1934 წლის 13 აპრილიდან • ფასი 8 კაპ.



**პიღეპი პიტი**  
სასიხარული...

**7-8 და 11 ნოემბერს**

გაუზიანდა საქართველოს სპორტსახეობიდან გაცნობებს, რომ სპორტსახეობის კოლეგია რეკომენდაციას აძლევს ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციებს და მათდამი დაქვემდებარებულ შრომით კოლექტივებს თავად გადაწყვიტონ 7 ნოემბერთან დაკავშირებული საკითხი. 7-8 ნოემბერი — სამუშაო დღეები ინახაურდება. მომავალ შეხვედრებზე წამატებით აქვე გაცნობებთ, რომ საქართველოს მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით 11 ნოემბერი საქართველოში ყველგან დასვენების დღედა გამოცხადებული.

**სამხი-თასით**

სულ ცოტა ხნის წინ დიდი გამარჯვებით გაგვხარეს ჩვენმა მოკრივეებმა, რომელთაც ჰაბუტა მსოფლიო ჩემპიონატზე ისახელეს თავი და ორი-ოქროს და ერთი ბრინჯაოს მედლით დაგვიბრუნდნენ. ფაქტია, კრავი დღეს აღმავლობის გზაზეა და ყველას საფიქრალიც

**ქევიზანე, ჰინანე პოიპატიშვილ**

საპარტეზლოს ტანმოვარჯიშე ქალები საერთაშორისო ასპარეზობებზე მიღწეული წარმატებებით ველარ დაიკვეხნიან. დღეს ისინი არც საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობით არიან განებივრებულნი და არც სათანადო გამოცდილება აქვთ ასეთ შეჯიბრებებში მონაწილეობისა. და აი, რომ იტყვიან, ნაწი გატყდა და ჩვენმა სპორტსმენებმა ისპარეზეს ლევერკუზენის თასის გათამაშებაში, რომელსაც ტრადიციულად აწყობს აქაური

გი გამარჯვება — ამჯერად ქალაქ მარიუპოლის რინგზე, სადაც გაიმართა საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება ახალგაზრდებს შორის. ჩვენმა სპორტსმენებმა შესანიშნავად იასპარეზეს, სამი მათგანი — კობა გოგოლაძე (51 კგ), ზურაბ სარსანიანი (+91, ორივე — „შეფარდენი“) და გიორგი წყრილაშვილი (54, „მართე“) თასის მფლობელიც გახდნენ. სლოლო გიორგი ხერგიანი (57, „შეფარდენი“) და ვეა გოლეთიანი (63, „მართე“) მესამე ადგილი დაიკავეს.

ბის სამმართველოს გიორგი ეგნატაშვილის სახელობის ოლიმპიური რეზერვის ტანვარჯიშის სპორტული სკოლის აღსაზრდელები: შორენა გოგოლაძე, მანანა ბერუკაშვილი და სოფიკო მანაგაძე. კარგად იასპარეზა სოფიკო მანაგაძემ, რომელმაც ტორნებში 9,95 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. თავისუფალ ვარჯიშში პირველობა სამმა სპორტსმენმა გაიყიდა: რუმინელმა ელისა ნიკოლაიმ, ამერიკელმა ელიზაბეტ ბურნესმა და სოფიკო მანაგაძემ, დვირზე კი სოფიკო 9,4 ქულით მესამე იყო. ამსოლულტური პირველობაში ს. მანაგაძემ 38,3 ქულით მეორე ადგილი დაიკავა და მცირედით ჩამორჩა პირველ ადგილზე გასულ ელისა ნიკო-

**ინფორმაცია**

საშუალი. აქ დამთავრდა მსოფლიოს თასის გათამაშება მაგდის ჩიკაგოში ქალთა და ვაჟთა გუნდებს შორის. გამარჯვება ორივე თანრიგში სამხრეთკორეელებმა მოიპოვეს. ვაჟთა შეჯიბრების ფინალში მათ გერმანელი სპორტსმენები დაამარცხეს, ქალთა ფინალში კი ჰონკონგის გუნდი.

ლოის. გუნდური ადგილები კი ასე განაწილდა: 1. რუმინეთი — 76,5 ქულა; 2. ბრაზილია — 75,15; 3. საქართველო — 74,95. — ტურნირის დამთავრების შემდეგ ყველა იქ მონაწილე ქვეყნის წარმომადგენლებს ცალკეც მოწვევა — გვითხრა გ. ეგნატაშვილის სახელობის ტანვარჯიშის სკოლის დირექტორმა ომარ ლონლაძემ — გვესურს მომავალ წელს, ფინისში, ჩვენთანაც ჩავატაროთ ამგვარი ტურნირი. ვერ გეტყვით, ჩამოვლენ თუ არა, მაგრამ მოწვევაზე სიამოვნებით დაგვთანხმდნენ. თავდაპირველად თუნდაც ორი გუნდი რომ ჩამოვიდეს, ამითაც კმაყოფილი დაერჩებით.

გ. ნათაძე.





